პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 1949 წ. № 197 (8500). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პოლიტიკურ ხელშეკრულებათა შესრულება შემდგომ წარმატებათა საფუძველია — მოწინავე (1-ლი გვერდი).

დეკლარაცია ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობისა (1-ლი გვერდი).

ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში — თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი (მე-2 გვერდი).

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა (მე-3 გვერდი).

პოლიტიკურ ხელშეკრულებათა შესრულება შემდგომ წარმატებათა საფუძველია

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა კოლექტივები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულების ერთ-ერთ მძლავრ იარაღს წარმოადგენენ კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომლებიც ზუსტად ასახავენ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მუშათა კოლექტივების ვალდებულებებს.

კოლექტიური ხელშეკრულებანი ერთი მხრივ ითვალისწინებენ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდების, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს, ხოლო მეორე მხრივ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლებისათვის ყოველდღიურ ზრუნვას როგორც სამეურნეო ხელმძღვანელთა, ისე პროფესიულ ორგანიზაციათა მიერ.

კოლექტიური ხელშეკრულება ორმხრივი ვალდებულებაა. მისი შესრულებისათვის ერთნაირად უნდა ზრუნავდენ თვითეული საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელი და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი, მის განხორციელებას კონტროლს უწევდეს საწარმოს პარტიული ორგანიზაცია. სამეურნეო ხელმძღვანელები ვალდებული არიან შეუქმნან მუშათა კოლექტივებს მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობა—დროულად უზრუნველყონ საწარმოები ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, სრულ წესრიგში იქონიონ დაზგა-დანადგარები, განახორციელონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ყოველდღიურად იზრუნონ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებისათვის. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მუშათა აქტივობას, ფართოდ გაიაზრონ სოციალისტური შეჯიბრება, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, აქტიურად იბრძოლონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხორციელებისათვის.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე რამდენიმე ასეულ კოლექტიურ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი სამეურნეო ხელმძღვანელებმა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა. ამ დღეებში დამთავრდა კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის პირველი მასობრივი შემოწმება. შემოწმებამ ცხადყო, რომ იმ საწარმოებში, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად განხორციელებისათვის ბრძოლას, ნაყოფიც თვალსაჩინოა.

ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი და სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამმუშავებელი ქარხნები, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმოები. ამ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები ყველა პირობას უქმნიან მუშათა კოლექტივებს მაღალნაყოფიერი შრომისათვის, დროულად ახორციელებენ კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები ყოველდღიურ ზედამხედველობას, დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის წინაშე აყენებენ საკითხს ხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის შესრულების აუცილებლობაზე, უნარიანად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

კოლექტიური ხელშეკრულების განხორციელების საფუძველზე ზემოაღნიშნული საწარმოები შესანიშნავ წარმატებას აღწევენ როგორც საწარმოო გეგმების შესრულების, ისე მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. საწარმოთა კოლექტივები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, დღითიდღე ადიდებენ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, ამცირებენ თვითღირებულებას, ზოგავენ ნედლეულს, ელექტროენერგიას, უშვებენ ზეგეგმითს პროდუქციას, ბრუნვიდან ათავისუფლებენ მილიონობით მანეთს, წარმატებით ემზადებიან ზამთრისათვის. ამ საწარმოთა ასობით მუშა გაიგზავნა წელს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

შემოწმებამ ცხადყო ავრეთვე, რომ ყველა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელი და პროფესიული ორგანიზაცია საჭირო პასუხისმგებლობით როდი ეკიდება კოლექტიური ხელშეკრულების განხორციელების საქმეს. ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტების, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკების და ზოგიერთი სხვა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელები, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულებებით მთელი რიგი ვალდებულებები აქვთ ნაკისრი, ნაკლებად იბრძვიან მათი შესრულებისათვის. კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებისათვის არც ამ საწარმოთა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები იჩენენ სათანადო მომთხოვნელობასა და უნარს.

მაგალითად, ტყიბულის შახტებში ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ჯერ კიდევ შარშან დარჩა შეუსრულებელი და წელსაც იგივე მდგომარეობა გრძელდება. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საქარხნო კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას, საკმაოდ არ იბრძვის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ქმედით კონტროლს ვერ უწევს მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაობას. ქარხნის მუშათა სასადილოებში არ ყოფნით ჭურჭელი, ამზადებენ დაბალხარისხოვან კერძებს, საქარხნო მაღაზიაში ხშირად არა აქვთ პირველი მოთხოვნილების საქონელი, მოუგვარებელია ქარხანასა და ქალაქს შორის საავტობუსო მოძრაობა, ჭიანურდება მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ყველა ამ საკითხის მოგვარება გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულებით, რომლის განხორციელებისათვის ნაკლებად ზრუნავს როგორც საქარხნო კომიტეტი, ისე საწარმოს დირექცია. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკებში შეუსრულებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური და შრომის დაცვის ღონისძიებანი, არ არის რიტმული მუშაობა, თვის დასაწყისში მოშვებულობაა, ხოლო თვის უკანასკნელ დეკადაში გეგმების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის მიმართავენ ეიერშობიას, რაც ცუდ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. ამ საწარმოთა საფაბრიკო კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მოწინავე სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების გაზიარებას ყველა მუშისათვის.

შეუნელებელი ბრძოლა კოლექტიური ხელშეკრულების თვითეული მუხლის დროულად შესრულებისათვის ამავე დროს ნიშნავს ბრძოლას პარტიისა და ხელისუფლების მიერ ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებით გამოვლინებული ნაკლოვანებანი, დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის, სამეურნეო წლის დამთავრებამდე დარჩენილ დროში აუცილებლად უზრუნველყონ კოლექტიური ხელშეკრულების თვითეული მუხლის შესრულება.

დეკლარაცია
ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობისა

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგცემს, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის შექმნის გამო პეკინში გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ცენტრალური სახალხო მთავრობის შემდეგი დეკლარაცია გამოაქვეყნა:

„მას შემდეგ, რაც ჩან კაი-შის რეაქციულმა მთავრობამ საშინაოლო უღალატა, შეთქმულება მოაწყო იმპერიალისტებთან ერთად და კონტრრევოლუციური ომი დაიწყო, მთელი ჩინეთის ხალხი საშინელ ტანჯვასა და უბედურებაში ჩავარდა. მაგრამ ჩვენმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ მთელი ჩინეთის ხალხის მხარდაჭერით, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის, ხალხის სიცოცხლისა და ქონების დაცვისათვის, ტანჯვისაგან ხალხის ხსნისა და მის უფლებათა უზრუნველყოფისათვის გაჩაღებულ გმირულ თავდადებულ ბრძოლაში მოსპო რეაქციული ჯარები და დაამხო გომინდანის მთავრობის რეაქციული ბატონობა.

ამჟამად სახალხო-განმათავისუფლებელი ომი ძირითადად მოგებულია და ჩვენი ქვეყნის ხალხის მეტი წილი განთავისუფლებულია.

ამ საფუძველზე შეიქმნა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ ყველა დემოკრატიული პარტიისა და ჯგუფის, სახალხო ორგანიზაციების, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის, სხვადასხვა რაიონის, სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელებისა და მთელი ჩინეთის პატრიოტული დემოკრატიული ელემენტების დელეგატები. გამოთქვა რა მთელი ჩინეთის ხალხის ნება, ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ დაამტკიცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ძირითადი კანონი, აირჩია მაო ძე-დუნი ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარედ, ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, სუნ ძინ-ლინი, ლი ძი-შენი, ჯან ლანი და გაო განი ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებად და ჩენ ი, ხო ლუნი, ლი ლი-სანი, ლინ ბო-ძუი, ე ძიანინი, ხო სიანნინი, ლინ ბიაო, პინ და-ხუაი, ლუ ბო-ჩენი, უ იუი-ჯანი, სუი სიან-ციანი, პინ ჯენი, ბო ი-ბო, ნე ჟუნ-ჯენი, ჯოუ ენ-ლაი, დუნ ბი-უ, საიფუდინი, ჟაო შუ-ში, ტან კა-კი, ლო ჟუნ-ხუანი, დენ ცუ-სიუი, ულანფუ, სიუ დელი, ცაი ჩანი, ლუ კე-პინი, მა ინ-ჩუ, ჩენ იუნი, კან შენი, ლინ ფინი, მა სიუი-ლუნი, გო მოჟო, ჩან იუნ-ი, დენ სიან-პინგ, გაო ჩუნ-მინი, შენ ჩუნ-ჟუ, შენ იან-პინი, ჩენ შუ-დუნი, სეტო ძეი-ტონი, ლი სი-პიუ, ხუან იან-ბეი, ცაი ტინ-კაი, სი ჩუნ-სიუნი, პინ ძუ-მინი, ჯან ცინ-ჩუნი, ფუ ძო-ი, ლი ჩუ-ჩენი, ლი ჯან-და, ჯან ბო-ძიუნი, ჯენ ციანი, ჯენ სი-ჟო, ჩენ მინ-შუ, ტან პინ-შანი, ჯან ნან-სიანი, ლუ იან-ცა, ჯან დუნ-სუნი და ლუნ იუნი — ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრებად, გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და გადაწყვეტილება მიიღო, რომ პეკინი იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი.

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭო დედაქალაქში შეუდგა მოვალეობის შესრულებას და ერთსულოვნად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი: გამოცხადდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის შექმნა; მთავრობის პოლიტიკურ პროგრამად მიღებულ იქნას ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა; ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრი ლინ ბო-ძუი არჩეულ იქნას ამ საბჭოს გენერალურ მდივნად; ჯოუ ენ-ლაი დაინიშნოს სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერად და ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრად; მაო ძე-დუნი დაინიშნოს ცენტრალური სახალხო მთავრობის სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ; ჯუ დე — სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდლად, შენ ჩუნ-ჟუ—უმაღლესი სახალხო სასამართლოს მთავარ მოსამართლედ და ლო ჟუან-ხუანი გენერალური სახალხო პროკურატურის გენერალურ პროკურორად და დაევალოს მათ ყოველივე ხანში შექმნან მთავრობის ორგანოები მთავრობის მუშაობის საწარმოებლად.

ამავე დროს ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭომ გადაწყვიტა: განეცხადოს ყველა სხვა ქვეყნის მთავრობებს, რომ ეს მთავრობა ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ ხალხს წარმოადგენს. ეს მთავრობა მზად არის დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის ყოველ მთავრობასთან, რომელიც მზად არის დაიცვას თანასწორობის, ურთიერთსარგებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის პრინციპები.

მაო ძე-დუნი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე

1949 წლის 1 ოქტომბერი".

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის წერილი საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულისადმი პეკინში

1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ შემდეგი წერილი გაუგზავნა საბჭოთა გენერალურ კონსულს პეკინში ს. ტიხვინსკის:

„ოფიციალური წერილი

ბატონ ტიხვინსკის

ამით გაუწყებთ თქვენ, რომ დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა გამოაქვეყნა დეკლარაცია.

ამ წერილთან ერთად გიგზავნით ამ დეკლარაციას და იმედი მაქვს, რომ თქვენ გადაუგზავნით მას თქვენი პატივცემული ქვეყნის მთავრობას.

ვფიქრობ, რომ აუცილებელია ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის.

ჯოუ ენ-ლაი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი

1949 წლის 1 ოქტომბერი, პეკინი".

პეკინი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ამით ადასტურებს, რომ მიიღო ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის ამა წლის 1 ოქტომბრის დეკლარაცია წინადადებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. განიხილა რა ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის წინადადება, საბჭოთა მთავრობა, რომელსაც ამოქმედებს მუდმივი მისწრაფება შეინარჩუნოს მეგობრული ურთიერთობა ჩინელ ხალხთან და რომელიც დარწმუნებულია, რომ ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობა წარმოადგენს ჩინელი ხალხის დიდი უმრავლესობის ნების გამოხატულებას, გაცნობებთ, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება — დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის და გაცვალოს ელჩები.

სსრ კავშირის მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

ა. გრომიკო

მოსკოვი, 1949 წლის 2 ოქტომბერი.

ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში
თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი

2 ოქტომბერს შემდგარი კრება, მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი, გახდა მძლავრი დემონსტრაცია თბილისის მშრომელთა განუხრელი ნებისა—საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად იბრძოლონ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

დილიდანვე ბერიას სახელობის ფართო მოედანზე თავს იყრის ათასობით ადამიანი. ქალაქის ყოველი კუთხიდან მოედნისაკენ ორგანიზებულ კოლონებად მოდიან თბილისის საწარმოთა და ახალმშენებლობათა მუშა-მოსამსახურეები, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივები. მშრომელებს მოაქვთ მრავალი ტილო ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ. კოლონების თავზე აღმართულია მშვიდობისათვის და ხალხთა მეგობრობისათვის დიდი მებრძოლის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის პორტრეტები.

მოედანი ვერ იტევს კრებაზე ყველა მოსულთ და ისინი ავსებენ ახლომახლო ქუჩებს.

კრებას, რომელსაც 100 ათასზე მეტი კაცი ესწრება, მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. გიორგაძე.

— მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებით,—ამბობს ამხ. გიორგაძე,—დღეს, 2 ოქტომბერს, ყველა ქვეყანაში ეწყობა მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე. საქართველოს მშრომელებმა, ისე როგორც ჩვენი უსაზღვრო სამშობლოს ყველა მშრომელმა, დიდი კმაყოფილებით მიიღეს მუდმივი კომიტეტის ეს გადაწყვეტილება.

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ავანგარდში, მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში დგას ჩვენი საყვარელი სამშობლო, მძლავრი საბჭოთა კავშირი კაცობრიობის გენიალური ბელადის დიდი სტალინის მეთაურობით.

მოედანზე გრიალებს ათიათასობით ადამიანის მძლავრი ოვაციები. თბილისის მშრომელნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას დიდი სტალინისადმი, რომლის სახელიც გახდა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის მილიონობით უბრალო ადამიანთა ბრძოლის სიმბოლო.

მოედანზე საზეიმოდ გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია.

სსრ კავშირის სახალხო არტისტს ამხ. ა. ვასაძეს წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომი-

(დასასრული მე-2 გვერდზე)



თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

1949 წლისათვის სტალინური პრემიების კანდიდატთა დასახელების შესახებ

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი 1949 წლისათვის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომებს იღებს 1949 წლის 1 ნოემბრამდე.

განსახილველად მიიღება 1948 წლის დაძლევს და 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომები, 1949 წელს რეალიზებული გამოგონებანი და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებანი.

მეცნიერულ ნაშრომებს, გამოგონებებსა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეულ გაუმჯობესებებს წარადგენენ სამეცნიერო დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროები, უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ყველა წინადადება 1949 წლისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქალაქი მოსკოვი, ჟდანოვის ქუჩა, 11 — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი.

ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში

თბილისის მშრომელთა საერთო საქალაქო კრება, მიძღვნილი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი

(დასასრული)

ტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ტაში, კვლავ მძლავრად გრიალებს ხანგრძლივი ოვაცია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სტალინური პრემიის ლაურეატს ამხ. გ. ლეონიძეს.

— სულთმობრძავი ბორგავს, — ამბობს იგი,—ომის გამჩაღებლების, ადამიანთა მასობრივი ჟლეტის ორგანიზატორების, ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის შემქმნელების უოლსტრიტელთა ხროვა. თავისი გაყინული სისხლის გასათბობად მათ კვლავ სურთ გააჩაღონ მაიდანეკის, ოსვენციმისა და ბუხენვალდის ღუმელები. მათ კვლავ სურთ ივაჭრონ მილიონობით ჭაბუკის სიცოცხლით, უბრალო ადამიანთა სისხლითა და ოფლით, უბედური ქვრივებისა და დედების ცრემლით.

მაგრამ არ შეიძლება ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება! არ შეიძლება შეჩერდეს ცხოვრება, არ ჩაქრება სინათლე, არ შეწყდება ადამიანის გულისა და აზრის მუშაობა. იმპერიალისტების აგრესიული გეგმები შეემსხვრევა თავისუფლებისა და მშვიდობისადმი ყველა მშრომელთა ერთიანი ნებისა და მისწრაფების ურყევ კედელს. მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები ნებას არ მისცემენ ვაშინგტონელ ჩინგისხანებს ტანკებით სრისონ მათი შვილები, სახლები, მინდვრები და ბაღები.

ჩვენ ომი არა გვსურს! ჩვენ გვაშინებენ ატომური ბომბით, მაგრამ დიდი ხანია გვაქვს ეს იარაღი. ჩვენ გვაქვს უფრო მძლავრი იარაღი—მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი მოძღვრება, რომელიც გვინათებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ნ. ყიფშიძეს:

—ერთი თვის წინათ, — ამბობს ნ. ყიფშიძე,—ბედნიერება მქონდა დავსწრებოდი მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციას მოსკოვში. მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის ჩინეთი, ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, წარმოდგენილი იყვნენ იქ თავისი საუკეთესო ადამიანებით. ისინი ყველანი ერთსულოვნად მოუწოდებდნენ მშვიდობისაკენ, ყველანი ერთსულოვნად გმობდნენ ამერიკელ მონოპოლისტთა — ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივ გეგმებს, ყველანი დიდი იმედით აპყრობდნენ თვალს საბჭოთა კავშირს, როგორც მშვიდობის მომხრეთა მთავარ შტაბს.

დღეს ჩვენ ამაყად ვაცხადებთ: ჩვენ არა გვსურს ომი, ვიცავთ მშვიდობას და დავიცავთ მას. ჩვენ მიგვიძღვის დიდი ბელადი, რომლის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია დიდი საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებანი. დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა კავშირი გადალახავს ყველა სიძნელეს და იხსნის კაცობრიობას ომის საშინელებისაგან.

სიტყვა ეძლევა არქიტექტორს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს, საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. ი. ციციშვილს.

— ჩვენ ყველას, — ამბობს იგი, — კარგად გვახსოვს ის ახლო წარსული, როცა მთელ მსოფლიოს მოედო ომის ხანძარი, როცა საბჭოთა ხალხის გმირული ღონისძიების მეოხებით, მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასად კაცობრიობა გადარჩა ბარბაროსული დამონების საფრთხეს, რასაც ფაშიზმი ამზადებდა. და აი ახლა, ამ დიადი გამარჯვებიდან მეხუთე წელს კაცობრიობა კვლავ მღელვარებით ადევნებს თვალყურს აგრესორთა და ომის გამჩაღებელთა ახალ ვერაგულ ხრიკებს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ადამიანები ვართ. მშვიდობიან შრომაში ვპოულობთ ჩვენ ცხოვრების სიხარულს, ვამრავლებთ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეს, ვაშენებთ ახალ ქალაქებსა და სოფლებს. საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახად გაერთიანებულმა ჩვენმა ხალხებმა მიაღწიეს თავისი ეროვნული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავებას. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წინამძღოლობით ჩვენი ხალხები რწმენით მიდიან წინ კაცობრიობის ბედნიერების ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ — კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ხალხს არაერთგზის მოუგერიებია აგრესიის ხელყოფა. და, როგორც ჩანს, სუსტი მეხსიერება აქვთ იმათ, ვინც დაიბეწა, თუ რა ნებისყოფითა და სიმტკიცით გაატარა საბჭოთა ხალხმა თავისი დროშები სტალინგრადიდან ბერლინამდე. საკდესის 25 სექტემბრის ცნობამ ერთხელ კიდევ მოაგონა მსოფლიოს საბჭოთა კავშირის ძლიერება.

მილიონობით ადამიანი ყველა ქვეყანაში სიამაყითა და იმედით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს. მათ სწამთ და იციან, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ იყო და არის უშიშროების ბურჯი, რომ იმპერიალისტთა და ომის გამჩაღებელთა ბანაკს უპირისპირდება მშვიდობისათვის მებრძოლთა ბანაკი მძლავრი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი. იგი ლაპარაკობს იმ ახალი ომის საფრთხეზე, რომელსაც გამალებით ამზადებენ რეაქციის შავბნელი ძალები უოლ-სტრიტის მეთაურობით.

— ბუდაპეშტში ახლახან დამთავრებულმა სასამართლო პროცესმა, — ამბობს ამხ. არაყიშვილი, — ნიღაბი ჩამოჰგლიჯა საზიზღარ მკვლელებსა და ჯაშუშებს. მთელი მსოფლიოსათვის ცხადი გახდა იმპერიალისტთა ნამდვილი სახე, რომლებიც თავიანთ ბინძურ თათებს უპოტინებენ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს.

მაგრამ პირველად ხომ არ უგემნიათ დამარცხება იმპერიალიზმის დაქირავებული ლაქიების საზიზღარ გეგმებს!

ჩვენს ქვეყანას არა სურს, რომ მისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა კვლავ დაარღვიონ ახალი ომის გამჩაღებლებმა. საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს თავის ნაცად მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას და თანმიმდევრულად იბრძვის მტკიცე მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველმა ამხ. ხიზანიშვილმა. იგი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის თავდადებულ ბრძოლაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, ამხანაგ სტალინის გენიით დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

— ჩვენ კარგად გვახსოვს,—ამბობს ამხ. ხიზანიშვილი, — დიდი სტალინის სიტყვები, რომ მილიონობით უბრალო ადამიანი დგას მშვიდობის საქმის საგუშაგოზე. მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხთა საქმეა,—ნათქვამია პარიზში მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მიერ მიღებულ მანიფესტში.

მე, საბჭოთა ქვეყნის უბრალო ადამიანი, სტახანოველი მუშა, ჩემს ხმას ვეერთებ მთელი საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის მძლავრ ხმას: დავიცვათ მშვიდობა! მთელი ძალები ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად!

საბჭოთა ადამიანების — მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლთა განუხრელი ნება მკაფიოდ გამოხატა თავისი სიტყვით საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ამხ. თ. ჭავჭავაძემ.

— ჩვენ, საბჭოთა პატრიოტ ქალებს, — ამბობს იგი, — გვიყვარს თავისუფლება და პატივს ვცემთ სხვა ხალხთა თავისუფლებას. ჩვენი ცხოვრება მშვენიერი და ბედნიერია, ჩვენ მგზნებარედ გვიყვარს სიცოცხლე და სწორედ ამიტომ ჩვენ ომის წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლები ვართ.

ჩვენ ძლიერი ვართ ჩვენი მორალური სულისკვეთებით, ძლიერი ვართ ჩვენი სამშობლოს ძლიერებით, ძლიერი ვართ ჩვენი დიდი სტალინის სიბრძნით. ჩვენ ძლიერი ვართ და ამიტომ კი არ ვთხოულობთ მშვიდობას, არამედ ვიბრძვით მისთვის, ვიბრძვით მტკიცედ და მხურვალედ. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ გავიმარჯვებთ მშვიდობისათვის ამ ბრძოლაში, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას ხელმძღვანელობს დიდი სტალინი. და ამ ქვეყნად არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გასტეხოს ხალხთა ნებისყოფა მათ ბრძოლაში სიცოცხლისათვის, ბედნიერებისათვის, დიადი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის.

ამხ. ჭავჭავაძე თავის გამოსვლას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

Под знаменем моей родной отчизны
К великим целям радостно итти.
Кто любит жизнь—трудись во имя жизни:
Торговцам смертью,—заперты пути!

ტრიბუნაზეა გმირი დედა ბარბარე ალექსანდრეს ასული ბახტაძე, რომელმაც 12 შვილი გამოზარდა.

— ჩვენ ყველას გვახსოვს მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი. მაშინ მე ფრონტზე გავგზავნე ჩემი 8 ვაჟი. ოთხი წლის განმავლობაში დღედაღამ განუწყვეტლივ ვფიქრობდი მათზე, იმაზე, რომ ისინი შინ გამარჯვებული დაბრუნებულიყვნენ.

ომი დამთავრდა. ბევრ დედას ჯერაც არ შეშრობია თვალზე ცრემლი,—იმპერიალისტებს კი სურთ თავს მოგვახვიონ ახალი ომი. თქვენ მოგმართავთ, ქართველო დედებო! შეუერთოთ ჩვენი ხმა მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის ხმას. ჩვენ, საბჭოთა დედებს, არა გვსურს, რომ კვლავ დაიღვაროს ჩვენი შვილების სისხლი, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ბედნიერად და მშვიდობით უნდა იცხოვრონ. ძირს ომი! გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს ჩვენს იმედს — დიდ სტალინს!

ამ სიტყვებს ტაშის გრიალი ჰფარავს.

სიტყვა ეძლევა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წარმომადგენელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ამხ. ნ. მუსხელიშვილს.

— ჩვენ აქ იმისათვის შევიკრიბეთ, —ამბობს იგი, — რომ ერთხელ კიდევ გამოვხატოთ ჩვენი დიდი ხალხის ურყევი ნება მშვიდობისადმი. ჩვენ ახალი ომი არა გვსურს არა იმიტომ, რომ თუნდაც ოდნავ გვეეჭვებოდეს ჩვენი ძალები, ჩვენ გავიმარჯვებთ ყოველ ომში ყოველი მტრის წინააღმდეგ, — არამედ იმიტომ, რომ ჩვენს სინდისს არა სურს და არ შეუძლია შეიწყნაროს ომში ჩაბმული ხალხების ახალი ტანჯვა.

მე პატივი მქონდა ჩვენი ქვეყნის დელეგატთა შორის ვყოფილიყავი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე. ძნელია გამოვძებნო სიტყვები, რომ გამოვხატო ის შთაბეჭდილება, რაც ჩემზე მოახდინა ერთსულოვნებამ, თავისი ძალებისადმი, თავისი საქმის სამართლიანობისადმი რწმენამ, რომელიც ამ კონგრესზე გამოიჩინეს დემოკრატიული ხალხების წარმომადგენლებმა, დაწყებული მრავალმილიონიანი დემოკრატიული ჩინეთით და დამთავრებული ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ დამონებული საბერძნეთით.

ასეთივე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ერთსულოვნებამ და ენთუზიაზმმა, რაც ჩვენმა ხალხებმა გამოიჩინეს მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში.

ჩვენი ძლიერება ცხადი ხდება საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებით, რომლებიც მიმართულია ახალი ომის თავიდან აცილებისაკენ, ცხადი ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი დელეგატების ყველა გამოსვლით.

ჩვენ არ ვემსგავსებით და არც არასოდეს დავემსგავსებით იმ ადამიანებს, რომელთა კილო და მოქმედება აცვლება იმის მიხედვით, თუ რა იარაღს მალავენ ისინი ზურგს უკან.

ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენ გვაქვს ატომური იარაღი, იმპერიალისტურ ქვეყნებში აფეთქებული ბომბის შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ კი საბჭოთა ადამიანები, დიდი ხანია დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი მეცნიერები, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერების წარმომადგენლები, რომლებიც გარეშოსილი არიან პარტიისა და მთავრობის ყოველმხრივი მზრუნველობით, შექმნიან ყოველივეს, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და რამდენიც საჭიროა ჩვენი დიდი სამშობლოს უშიშროებისათვის. ჩვენ არ ვაბირებთ ატომის ენერგია გამოვიყენოთ სამხედრო მიზნით, მაგრამ ვაი მათ ვინც პირველი შეეცდება მის გამოყენებას.

საბჭოთა მეცნიერები მომავალშიც თავდადებით გაუწევენ სამსახურს ჩვენს სამშობლოს, მშვიდობის საქმეს, იმ დიად იდეებს, რომლებიც აღაფრთოვანებენ ჩვენს ქვეყანას, დიდი სტალინის წინამძღოლობით კომუნიზმს რომ აშენებს.

დამსწრენი მქუხარე ოვაციით უპასუხებენ ორატორის ამ სიტყვებს.

კრება ერთხმად იღებს რეზოლუციას, რომლითაც მთელი ქართველი ხალხის სახელით გამოთქვამს ურყევ ნებას— საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად იბრძოლოს ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

კრების მონაწილენი მქუხარე ოვაციით ხვდებიან წინადადებას — მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს. ამაღელვებლად გაისმის ბელადის, საყვარელი მამისა და მასწავლებლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დიდი დამცველის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სიტყვები.

ხანგრძლივად, უფრო და უფრო ძლიერად გრიალებს ოვაცია. იგი წარმოადგენს საქართველოს მშრომელების, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, მზადყოფნის ცოცხალ და მკაფიო გამოხატულებას — დიდი სტალინის წინამძღოლობით იბრძოლონ მშვიდობისათვის, უფრო დაჩქარონ ჩვენი წინსვლა კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

კრება დამთავრდა. მოედანზე გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია. თბილისის მშრომელთა საერთო საქალაქო კრების ასიათასმა მონაწილემ უდიდესი ძლიერებით ცხადყო ნებისყოფა მშვიდობისადმი, თავისი მზადყოფნა მთელი ძალები მოახმაროს ლენინ-სტალინის დიად საქმეს. (საქ-ესი).

სსრ კავშირის მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი

ამა წლის 1 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის დავალებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს და საფრანგეთის საქმეთა რწმენებულს გადასცა ნოტები გერმანიის საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისათვის გადაცემული ნოტის ტექსტი.

„ამასთან დაკავშირებით, რომ ამა წლის 20 სექტემბერს ბონში შეიქმნა სეპარატული მთავრობა გერმანიის ოკუპაციის ამერიკული, ინგლისური და ფრანგული ზონებისათვის, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

გერმანიის დასავლეთი ზონებისათვის სეპარატული მთავრობის შექმნა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც გერმანიის გათიშვის იმ პოლიტიკის დამთავრება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდნენ პოტსდამის შეთანხმების დარღვევით, პოტსდამის შეთანხმებისა, რომლითაც ამ სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირთან ერთად იკისრეს ვალდებულება გერმანია განეიარაღათ როგორც ერთი მთელი და ხელი შეეწყოთ დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ მისი გარდაქმნისათვის. დასავლეთ გერმანიისათვის სეპარატული მთავრობის შექმნით სამმა სახელმწიფომ დაარღვია აგრეთვე გადაწყვეტილებანი, მიღებულნი ამა წლის ივნისში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პაოზის სესიის მიერ, რომელთა თანახმადაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის მთავრობებმა იკისრეს განეგრძოთ თავისი ღონისძიებანი, რათა მიეღწიათ გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ეს ნაბიჯი წარმოადგენს არა მარტო იმ ვალდებულებათა დარღვევას, რომლებიც მათ იკისრეს გერმანიის ერთიანობის შენარჩუნებისათვის, არამედ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების ვალდებულებათა დარღვევასაც, რამდენადაც დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს შექმნა იწვევს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას დაუშვებელ გაჭიანურებას პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობას სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ცდები — გაამართლონ მოქმედება ბონში სეპარატული მთავრობის შესაქმნელად გერმანელი მოსახლეობის ინტერესებით. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ასეთ ცდას ნაადგი არ გაჰნია, რამდენადაც ყველამ იცის, რომ არავის არც უკითხავს გერმანელი ხალხის აზრი ამ საკითხზე და რამდენადაც, ამასთან ერთად, ცნობილია, რომ მთელ თავის ღონისძიებებს დასავლეთ გერმანიის სეპარატული მთავრობის შესაქმნელად, მათ შორის ეგრეთწოდებულ „ბონის კონსტიტუციასაც“, სამი სახელმწიფოს საოკუპაციო ხელისუფალნი ახორციელებდნენ დასავლეთ გერმანიის იმ სპეციალურად შერჩეული ძველი რეაქციული პოლიტიკური მოღვაწეების ვიწრო ჯგუფზე დაყრდნობით, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი უცხოეთის ფინანსურ წრეებთან და დამოკიდებული არიან ამ წრეებზე.

„ბონის კონსტიტუცია“ შემუშავებული იყო დასავლეთი სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფალთა პირდაპირი ზეგავლენით, რომლებმაც არსებითად უკარნახეს მისი ძირითადი დებულებანი. ამასთან გერმანელ ხალხს თავს მოახვიეს ფედერაციული წყობილება, რომელსაც არ ეთანხმება გერმანელი ხალხის უმრავლესობა. „ბონის კონსტიტუცია“ არა თუ არ შეიცავს რამე დებულებას, რაც ზღუდავდეს გერმანული მონოპოლიებისა და იუნკრობის გაბატონებულ როლს, რომლებიც გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები და ჰიტლერული რეჟიმის დასაყრდენი იყვნენ, არამედ ხელ-ფეხს უხსნის მათ შემდგომ ანტიდემოკრატიულ საქმიანობაში. „ბონის კონსტიტუციისთვის“ დამახასიათებელია აგრეთვე 24-ე მუხლის არსებობა, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შეუძლია „თავისი სუვერენული უფლებანი გადასცეს სახელმწიფოთაშორისო ორგანოებს“ და მისცეს „თანხმობა თავისი სუვერენული უფლებების შეზღუდვისა“, რაც ამ მარიონეტულ „სახელმწიფოს“ აშკარად გადაქცევს დასავლეთი ზონების საოკუპაციო ხელისუფალთა მორჩილ იარაღად ევროპაში მათი აგრესიული გეგმების განხორციელების დროს.

საქმით „ბონის კონსტიტუცია“ წარმოადგენს მხოლოდ დანამატს ეგრეთწოდებული „საოკუპაციო სტატუტისას“, რომელიც დასავლეთ გერმანიას უკარნახეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა. სამი სახელმწიფოს ცდა საქმე იმგვარად წარმოადგინონ, თითქოს ამ საოკუპაციო სტატუტის მიზანია „შესაძლებლობა მისცეს გერმანელ ხალხს განახორციელოს დემოკრატიული თვითმმართველობა“, როგორც ამაზე ნათქვამია კომუნიკეში ამა წლის აპრილში ვაშინგტონის მოლაპარაკების შესახებ, სავსებით ეწინააღმდეგება ამ სტატუტის ძირითად დებულებებს. როგორც ცნობილია, ამ სტატუტის თანახმად სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვნესი ფუნქციები შეადგენენ საოკუპაციო ხელისუფალთა მონოპოლიას, ხოლო გერმანელ ხალხი ფაქტიურად ჩამოშორებულია ამ ფუნქციების განხორციელებაში რაიმე მონაწილეობისაგან, თუ აღარ ვილაპარაკებთ ამაზე, რომ საოკუპაციო სტატუტის შემოღება წარმოადგენს იმ პოლიტიკის გამოხატულებას, რომელიც მიმართულია გერმანიისათვის საზავო ხელშეკრულების დადების ჩაშლისაკენ და გერმანიაში ოკუპაციის რეჟიმის შეუწყნარებელი გაჭიანურებისაკენ.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ბონის სეპარატული მთავრობის შექმნა არ შეესაბამება პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს ამ გადაწყვეტილებათა უხეშ დარღვევას, რომელსაც საფუძვლად უდევს საჭიროება შენარჩუნებულ იქნას გერმანიის ერთიანობა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე საწყისებზე. ამასთან ერთად, სრულიად ცხადია, რომ ამ სეპარატული მთავრობის შექმნა წარმოადგენს მხოლოდ გერმანიის გათიშვის იმ პოლიტიკის ახალ და ამასთან შორს გამიზნულ გამოხატულებას, რომელსაც პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა დარღვევით ახორციელებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

უკვე 1946 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა დადეს შეთანხმება ორი ზონის გაერთიანების შესახებ, რითაც უხეშად დარღვეულ იქნა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება გერმანიისადმი ერთობლივი კონტროლის შესახებ. მაშინ ცდილობდნენ ეს გამოიშველი მოქმედება გაემართლებინათ ეკონომიური მოსაზრებებით და იმოწმებდნენ იმ გარემოებას, რომ ამერიკული და ინგლისური საოკუპაციო ზონების გაერთიანება თითქოს არ იწვევს არც გერმანიის დანაწილებას და არც გერმანიის მმართ ოთხ სახელმწიფოს შორის წინათ შეთანხმებული პოლიტიკის ჩაშლას. ნამდვილად კი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების ეს აქტი გამოხატავდა ამ სახელმწიფოთა პოლიტიკაში აშკარა შებრუნების დასაწყისს, — გერმანიის ერთიანობის შესახებ პოტსდამის შეთანხმებიდან გერმანიის გათიშვის პოლიტიკისაკენ.

1947 წლის განმავლობაში გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ და ინგლისურ ზონებში განხორციელებულ იქნა შემდგომი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო გერმანიის გათიშვისა და განაწილების გაღრმავებისაკენ, რაც, ეჭვიდან, იმით გამოიხატა, რომ ინგლის-ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებმა გადაწყვიტეს გერმანიისაგან გამოეყოთ რურის ოლქი, რური გამოეყვანათ ოთხი სახელმწიფოს კონტროლიდან და იგი მოექციათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის კონტროლში, გამოიხატა აგრეთვე ინგლის-ამერიკის სეპარატული ღონისძიებებით, რომლებიც წარმოადგენენ გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ ოთხი სახელმწიფოს ერთობლივ გადაწყვეტილებებზე ფაქტიურად უარის თქმას.

ლონდონის თათბირებზე 1948 წელს სამმა სახელმწიფომ ბენელუქსის ქვეყნების მონაწილეობით მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის გასათიშავად ახალ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. ეს ღონისძიებანი გამოიხატა გერმანიის დასავლეთ ზონებსა და ბერლინის დასავლეთ სექტორებში ფულის სეპარატული რეფორმის განხორციელებით, აგრეთვე გერმანიის დასავლეთი ზონების მთავრობის შექმნასთვის აჩარა მზადებით.

გერმანიის გათიშვისა და დანაწილების პოლიტიკამ თავისი დამთავრება ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა თათბირზე 1949 წლის აპრილში ვაშინგტონს მიღებული გადაწყვეტილებებით — დასავლეთი გერმანიისათვის „საოკუპაციო სტატუტის“ შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო „ბონის კონსტიტუციას“, აგრეთვე რურისათვის ეგრეთწოდებული „საერთაშორისო ორგანოს“ შექმნის შესახებ და დასავლეთ გერმანიისადმი სამხრივი—ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კონტროლის შესახებ სპეციალური შეთანხმების დადებით, რაც გარკვევით მიმართულია სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის გერმანიაში ოთხმხრივი საკონტროლო მექანიზმის შესახებ ძირითადი შეთანხმების მოსპობისაკენ.

მთელი გასული პერიოდის მანძილზე, 1946 წლით დაწყებული, საბჭოთა მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ დაუშვებელია გერმანიის ერთიანობის შესახებ პოტსდამის შეთანხმების დარღვევა და გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ ოთხი სახელმწიფოს „იმ გადაწყვეტილებათა ჩაშლა, რომლებიც საფუძვლად დაედო ოთხი სახელმწიფოს ყველა ერთობლივ გადაწყვეტილებას გერმანიის მიმართ პოლიტიკის შესახებ. ამასთან საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა, რომ დაუშვებელია გერმანიის გათიშვისა და დასავლეთ გერმანიაში იმ რეაქციული, მილიტარისტული და რევანშისტული ელემენტების გაბატონებულ მდგომარეობის აღდგენი, რასაც სამი დასავლეთი სახელმწიფო ახორციელებს, რომლებიც წარსულში იყვნენ გერმანიის მილიტარისტისა და ჰიტლერული რეჟიმის დასაყრდენ, და რომლებმაც კვლავ წამოყვეს თავი გერმანიის დასავლეთ სახელმწიფოს შექმნისთანავე. საში სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა შეიძლებ მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ამით თავის გ მოხატულებას ჰპოვებს გარკვეული იმპერიალისტური წრეების მისწრაფება — დასავლეთ გერმანია გამოიყენონ პლაცდარმად ამ წრეების აგრესიული გეგმების განხორციელებისა ვის, რაც დასავლეთ გერმანიას ევროპაში შეშ ფოთების ახალ კერად აქცევს.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა განუხრ ბრძოლას ეწეოდა გერმანიის გათიშვის წინააღ მდეგ და, პოტსდამის კონფერენციის გადაწ ყვეტილებათა თანახმად, მტკიცედ მოითხოვდ შექმნილიყო მთელი გერმანიის სამეურნეო ორ განიები, როგორც მთელი გერმანიის დემოკრ ტიული მთავრობის შექმნისაკენ გადადგმულ პირველი ნაბიჯი. ორი წლისა და მეტი ხნ წინათ საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრ ტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შეე დგომოდით იმ ღონისძიებათა განხორციელებ რომლებიც საჭიროა დემოკრატიული გერმა ნიის მთავრობის შესაქმნელად, აგრეთვე ხელ მოგვეკიდებინა გერმანიასთან საზავო ხელშეკ რულების შემუშავებისათვის. მაგრამ სამი და სავლეთი სახელმწიფოს მთავრობებმა არ მიი ღეს საბჭოთა კავშირის ეს წინადადებანი და გ ნაგრძობდნენ გერმანიის გათიშვის გაღრმავებ თავიანთ პოლიტიკას, რომელიც იწვევდა საზა ვო ხელშეკრულების დადების ჩაშლას და გერ მანიის ოკუპაციის დიდი ხნით გაჭიანურებ რაც შესაძლებლობას არ იძლეოდა ევროპაშ მტკიცე შვიდობის დასამყარებლად.

ბოლოს, მიმდინარე წლის ივნისში საგარ საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესი ზე სამი დასავლეთი სახელმწიფოს მთავრობ მა კვლავ უარი თქვეს მიეღოთ საბჭოთა კა შირის წინადადება ამყამად აღმოსავლეთ დასავლეთ ზონებში არსებული გერმანულ ეკონომიური ორგანოების საფუძველზე შეგვე მნა მთელი გერმანიის სახელმწიფო საბჭო, რ გორც ეკონომიური და ადმინისტრაციული ცენ ტრი მთავრობის ფუნქციებით, რაც იქნებოდ მთელი გერმანიის დემოკრატიული მთავრობ შექმნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯ სამი დასავლეთი სახელმწიფოს მთავრობებ უარი თქვეს აგრეთვე მიეღოთ საბჭოთა კა შირის წინადადება გერმანიასთან საზავო ხელ შეკრულების მომზადების შესახებ და საზავ ხელშეკრულების დადების შემდეგ ერთი წლ ვადაში გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გა მოყვანის შესახებ.

ამრიგად, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმ ვლობაში ამერიკის შეერთებული შტატებ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრო ბები არა თუ არ ასრულებდნენ პოტსდამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, არამედ ამ ვალდებულებათა პირდაპირი დარღვევ ახორციელებდნენ გერმანიის, გათიშვისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებ ყოველნაირად გაჭიანურების პოლიტიკას, ფუშავდნენ გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ ოთხი სახელმწ ფოს ერთობლივ გადაწყვეტილებებს და ამ ან ტიდემოკრატიული პოლიტიკის განხორციელებ ამჟამად დაამთავრეს დასავლეთ გერმანიის სე პარატული მთავრობის შექმნით, რომელიც ჰიტ ლერული რეჟიმის გუშინდელ ლაქიებს ჩაუგ დეს ხელში.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყურადღება მიაქციოს იმ განსაკუთრებით სერიო ზულ პასუხისმგებლობას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დიდ ბრიტანეთისა და საფრანგეთთან ერთად გერ მანიაში იმ პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ბონში ანტიხალხური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა

შესავალი

ჩინეთში სახალხო-განმათავისუფლებელი ომისა და სახალხო რევოლუციის დიადი გამარჯვებანი ბოლოს უდებენ იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის ბატონობის პერიოდს. ჩაგრული ხალხის მდგმარეობიდან ჩინელი ხალხი ახალი საზოგადოებისა და ახალი სახელმწიფოს ბატონპატრონი გახდა და ფეოდალური, კომპრადორული, ფაშისტური, დიქტატორული გომინდანური რეჟიმიული მთავრობა სახალხო დემოკრატიის დიქტატურის რესპუბლიკით შეცვალა. ჩინეთის სახალხო დემოკრატიის დიქტატურა წარმოადგენს მუშათა კლასის, გლეხობის, ორგანიზებული ხალხის, ეროვნული ბურჟუაზიისა და პატრიოტული დემოკრატიული ელემენტების სახალხო დემოკრატიული ერთიანი ფრონტის სახელმწიფო ძალაუფლების ფორმას, ფრონტისა, რომელიც ემყარება მუშათა და გლეხთა კავშირს, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო იქმნება ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ყველა დემოკრატიული პარტიისა და ჯგუფის, ყველა რაიონის სახალხო ორგანიზაციების, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის, ეროვნული უმცირესობების, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელებისა და პატრიოტული დემოკრატიული ელემენტების წარმომადგენლებისაგან და წარმოადგენს ჩინეთის სახალხო დემოკრატიული ერთიანი ფრონტის ორგანიზაციის ფორმას. ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მთელი ჩინეთის ხალხის ნების გამომხატველია, აცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას და აწყობს თავის სახალხო ცენტრალურ მთავრობას. ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ ერთსულოვნად აღიარა, რომ ახალი დემოკრატია, სახელდობრ სახალხო დემოკრატია, იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული მშენებლობის პოლიტიკური საფუძველი. სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ შეიმუშავა ეს საერთო პროგრამა, რომელიც მთლიანად უნდა დაიცვან პოლიტიკურ საკონსულტაციო კონფერენციაზე წარმოდგენილმა ყველა ორგანიზაციამ, მთავრობის ყველა ორგანომ ყველა საფეხურზე და მთელი ჩინეთის ხალხმა.

კარი I
ზოგადი პრინციპები

მუხლი 1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ახალი დემოკრატიის, ანუ სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოა. რესპუბლიკა განახორციელებს სახალხო დემოკრატიის დიქტატურას, რომელსაც სათავეში უდგას მუშათა კლასი, რომელიც ემყარება მუშათა და გლეხთა კავშირს და რომელიც აერთიანებს ჩინეთის ყველა დემოკრატიულ კლასსა და ყველა ეროვნულ უმცირესობას. რესპუბლიკა აწარმოებს ბრძოლას იმპერიალიზმთან, ფეოდალიზმთან და ბიუროკრატიულ კაპიტალთან და მიისწრაფვის ჩინეთის დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა, მშვიდობისა, გაერთიანებისა და აყვავებისაკენ და ძლიერი ჩინეთის შექმნისაკენ.

მუხლი 2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ უნდა იკისროს სახალხო-განმათავისუფლებელი ომისა და მისი სრულ გამარჯვებამდე მიყვანის, ჩინეთის მთელი ტერიტორიის განთავისუფლებისა და სრული გაერთიანების საქმე.

მუხლი 3. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა გაუქმოს ჩინეთში იმპერიალისტური ქვეყნების ყველა პრივილეგია, მოახდინოს ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია და გადასცეს იგი საკუთრებად სახალხო სახელმწიფოს; სისტემატურად გაატაროს მიწათმფლობელობის ფეოდალური და ნახევრადფეოდალური სისტემის გარდაქმნა გლეხური მიწათმფლობელობის სისტემად; დაიცვას სახელმწიფოს საზოგადოებრივი საკუთრება და კოოპერატივთა საკუთრება, დაიცვას მუშების, გლეხების, წვრილი ბურჟუაზიისა და ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიური ინტერესები და კერძო საკუთრება; განავითაროს ახალი დემოკრატიის სახალხო ეკონომიკა და განუხრელად გადააქციოს ჩინეთი სასოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად.

მუხლი 4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხის უფლებანი — აირჩიოს და არჩეულ იქნას — გათვალისწინებულია კანონით.

მუხლი 5. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხი ისარგებლებს რწმენის, სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, ორგანიზაციების, მიწერ-მოწერის, პიროვნების, მიმოსვლის, სარწმუნოების, პროცესიებისა და დემონსტრაციების თავისუფლების უფლებით.

მუხლი 6. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აუქმებს ფეოდალურ სისტემას, რომელიც ქალს მონურ მდგომარეობაში აყენებდა. ქალები უნდა სარგებლობდნენ მამაკაცების თანასწორი უფლებებით პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აგრეთვე განათლების დარგში. შემოღებულია ქორწინების თავისუფება როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის.

მუხლი 7. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა ჩაახშოს ყოველგვარი კონტრრევოლუციური საქმიანობა, სასტიკად დასაჯოს ყველა გომინდანელი კონტრრევოლუციონერი სამხედრო დამნაშავე და სხვა გამოუსწორებელი კონტრრევოლუციური ელემენტები იმპერიალიზმთან კავშირისათვის და სამშობლოსადმი ღალატისათვის და ჩაახშოს სახალხო დემოკრატიის საქმის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი საქმიანობა. რეაქციული ელემენტები, ფეოდალ მემამულეები, ბიუროკრატიული კაპიტალის წარმომადგენლები, საერთოდ კაპიტალისტები აგრეთვე მოკლებულ უნდა იქნან, კანონის შესაბამისად, პოლიტიკურ უფლებებს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროდ იქნება მიჩნეული მათი განიარაღებისა და მათთვის პრივილეგიური მდგომარეობის წართმევის შემდეგ. მაგრამ ამავე დროს მათთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას არსებობის საშუალებანი, და შრომითი საქმიანობის გზით ისინი უნდა ვაიძულოთ გარდაიქმნან და ახალი ადამიანები გახდნენ. ხოლო თუ ისინი თავიანთ კონტრრევოლუციურ საქმიანობას განაგრძობენ, სასტიკად უნდა დაისაჯონ.

მუხლი 8. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ეროვნებამ უნდა დაიცვას სამშობლო, კანონები, შრომის დისციპლინა, საზოგადოებრივი საკუთრება, შეასრულოს საზოგადოებრივი მოვალეობანი და სამხედრო სამსახური და გადაიბადოს გადასახადები.

მუხლი 9. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყველა ეროვნება თანასწორი უფლებებით სარგებლობს და თანასწორი მოვალეობა ეკისრება.

მუხლი 10. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, სახელდობრ სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, საზოგადოებრივი უშიშროების სახალხო ჯარები და სახალხო პოლიცია ეკუთვნიან ხალხს. მათს მოვალეობას შეადგენს ჩინეთის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა და ჩინელი ხალხის ყველა კანონიერ უფლებათა და ინტერესთა დაცვა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ყველა ღონისძიება უნდა მიიღოს სახალხო შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, რათა გახადოს ისინი ომის უნარის მქონე, რომ ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი ამოცანები.

მუხლი 11. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაერთიანდება მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ქვეყანასთან და ხალხთან და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან და ყველა ჩაგრულ ერთან და იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში, იბრძოლებს მათთან ერთად იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და დაიცავს მტკიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

კარი II
სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები

მუხლი 12. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს. ყველა საფეხურის სახალხო კრებები და სახალხო ხელისუფლების ორგანოები ხალხის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების ორგანოს წარმოადგენენ. ყველა საფეხურის სახალხო კრებები უნდა აირჩიოს ხალხმა საყოველთაო კენჭისყრის გზით. ყველა საფეხურის სახალხო კრებები ირჩევენ შესაბამისივე საფეხურების სახალხო ხელისუფლების ორგანოებს. სხვადასხვა საფეხურის სახალხო კრებების სესიებს შორის პერიოდებში სახელმწიფო ძალაუფლებს განახორციელებენ სახალხო ხელისუფლების მათი შესაბამისი ორგანოები, მათი კომპეტენციის შესაბამისად.

სრულიად ჩინეთის სახალხო კრება საკანონმდებლო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. ცენტრალური სახალხო მთავრობა აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო კრების სესიებს შორის პერიოდში.

მუხლი 13. ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო სახალხო დემოკრატიული ერთიანი ფრონტის ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს. იგი შედგება მუშათა კლასის, გლეხების, რევოლუციური ჯარის სამხედრო მოსამსახურეების, ინტელიგენციის, წვრილი ბურჟუაზიის, ეროვნული ბურჟუაზიის, ეროვნული უმცირესობების, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების და პატრიოტული დემოკრატიული ელემენტების წარმომადგენლებისაგან.

სანამ მოწვეულ იქნებოდეს საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული სრულიად ჩინეთის სახალხო საბჭო, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო განახორციელებს სახალხო კრების ფუნქციებს და აქვს მისი რწმუნებანი; იგი დაამტკიცებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სტატუტს, აირჩევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს და აღჭურავს მას სახელმწიფო ხელისუფლების რწმუნებებით.

საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული სრულიად ჩინეთის სახალხო კრების მოწვევის შემდეგ ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო სრულიად ჩინეთის სახალხო კრებას ან ცენტრალურ სახალხო მთავრობას წარუდგენს წინადადებებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პოლიტიკის ძირითად საკითხებსა და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე.

მუხლი 14. ყველა ახლად განთავისუფლებულ რაიონში სახელმწიფო ხელისუფლების გომინდანური რეაქციული ორგანოები უქმდება და უნდა ხორციელდებოდეს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო კონტროლი. ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ან სამხედრო და პოლიტიკურმა ორგანოებმა ფრონტზე უნდა დანიშნონ პასუხისმგებელი პირები სამხედრო-საკონტროლო კომიტეტების მოსაწყობად და ადგილობრივი სახალხო მმართველობათა შესაქმნელად იმ მიზნით, რომ უხელმძღვანელონ ხალხის საქმიანობას რევოლუციური წესრიგის დამყარებაში, კონტრრევოლუციური საქმიანობის ჩახშობაში; ხოლო როცა პირობების მიხედვით შესაძლებელი გახდება, მოწვეულ უნდა იქნას მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთა კონფერენციები.

საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ადგილობრივი სახალხო კრებების მოწვევამდე მათი ფუნქციები თანდათანობით უნდა იკისრონ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთა ადგილობრივმა კონფერენციებმა.

სამხედრო კონტროლის პერიოდის ხანგრძლივობა უნდა განსაზღვროს ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ადგილებზე სამხედრო და პოლიტიკური პირობების შესაბამისად.

ყველგან, სადაც დამთავრებულია საომარი მოქმედება, გულდასმით გატარებულია აგრარული რეფორმა და განხორციელებულია მოსახლეობის ყველა ფენის ორგანიზაციის ღონისძიებანი, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ადგილობრივი სახალხო კრებების არჩევნები საყოველთაო კენჭისყრის გზით.

მუხლი 15. ყველა საფეხურის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები აგებული იქნებიან დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე. მისი ძირითადი პრინციპები შემდეგია: სახალხო კრება პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და ანგარიშს აბარებს მას. სახალხო მთავრობის საბჭო პასუხისმგებელია სახალხო კრების წინაშე და ანგარიშს აბარებს მას. სახალხო კრებასა და სახალხო მთავრობის საბჭოში უმცირესობა უნდა ემორჩილებოდეს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. სახალხო ხელისუფლების დაბალი საფეხურების ორგანოების დანიშვნას ამტკიცებენ სახალხო ხელისუფლების უმაღლესი საფეხურის ორგანოები, სახალხო ხელისუფლების დაბალი საფეხურის ორგანოები ემორჩილებიან სახალხო ხელისუფლების უმაღლესი საფეხურის ორგანოებს და ჩინეთის სახალხო ხელისუფლების ყველა ორგანოები ემორჩილებიან ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

მუხლი 16. ცენტრალური სახალხო მთავრობისა და ადგილობრივ სახალხო ხელისუფალთა იურისდიქცია განისაზღვრება ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს ბრძანებულებებით მათი საქმიანობის ხასიათის და როგორც ეროვნული მთლიანობის ინტერესების, ისე ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 17. უქმდება ხალხის მჩაგვრელი ყველა კანონი, ბრძანებულება და სასამართლო გომინდანური რეაქციული მთავრობისა და შემოღებულ იქნება კანონები და ბრძანებულებანი, რომლებიც დაიცავენ ხალხის ინტერესებს, აგრეთვე შეიქმნება სახალხო სასამართლო სისტემა.

მუხლი 18. ყველა სახელმწიფო ორგანო უნდა მოქმედებდეს რევოლუციური პატიოსნების, უბრალოებისა და ხალხისადმი სამსახურის სულისკვეთებით; ისინი სასტიკად უნდა სჯიდნენ მექრთამეობისათვის, კრძალავდნენ მფლანგველობას და ებრძოდნენ ბიუროკრატიზმსა და ხალხის მასებისაგან იზოლაციას.

მუხლი 19. სამაზრო, მუნიციპალურ და ყველა უმაღლეს ორგანოში შეიქმნება სხვადასხვა საფეხურის სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო მოსამსახურეების საქმიანობისადმი სამეთვალყურეო საკონტროლო ინსტანციები. ისინი პასუხისგებაში მისცემენ იმ ორგანოებსა და მუშაკებს, რომლებიც არღვევენ კანონს ან დაუშვებენ კანონის დარღვევას თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს. ხალხსა და სახალხო ორგანიზაციებს უფლება აქვთ სახალხო საკონტროლო ინსტანციებში ან სახალხო სასამართლო ორგანოებში შეიტანონ საჩივარი ყოველ სახელმწიფო ორგანოზე ან ყოველ სახელმწიფო მოსამსახურეზე, რომელიც არღვევს კანონს ან დაუშვებს კანონის დარღვევას თავისი მოვალეობის შესრულების დროს.

კარი III
სამხედრო სისტემა

მუხლი 20. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შექმნის ერთიან შეიარაღებულ ძალებს, ესე იგი სახალხო-განმათავისუფლებელ არმიასა და საზოგადოებრივი უშიშროების სახალხო ჯარებს, რომლებიც დაემორჩილებიან ცენტრალური სახალხო მთავრობის სახალხო-რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და რომლებსაც ეყოლებათ ერთიანი სარდლობა, ექნებათ ერთიანი სისტემა, ერთნაირი ორგანიზაცია და ერთიანი დისციპლინა.

მუხლი 21. სახალხო-განმათავისუფლებელი არმია და საზოგადოებრივი უშიშროების სახალხო ჯარები ოფიცრებისა და ჯარისაკაცების მჭიდრო შეკავშირებისა და არმიასა და ხალხს შორის ერთიანობის პრინციპის შესაბამისად შექმნიან რევოლუციური და პატრიოტული სულისკვეთებით მეთაურთა და მებრძოლთა პოლიტიკური აღზრდის სისტემას.

მუხლი 22. ეროვნული თავდაცვის განმტკიცების მიზნით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა განამტკიცოს არმია და მოახდინოს მისი მოდერნიზაცია და შექმნას საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

მუხლი 23. ადგილებზე წესრიგის დასაცავად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შემოღებული იქნება სახალხო მილიციის სისტემა, აგრეთვე შეიქმნება საფუძველი საყოველთაო მობილიზაციის ჩასატარებლად და გატარდება მზადება სათანადო მომენტში სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოსაღებად.

მუხლი 24. ეროვნული მშენებლობისათვის დახმარების გასაწევად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მშვიდობიან დროს სისტემატურად ჩაბმულ უნდა იქნან სამეურნეო საოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში იმ პირობით, რომ ამან ხელი არ შეუშალოს მათ თავიანთი სამხედრო ამოცანების შესრულებაში.

მუხლი 25. სახელმწიფო და საზოგადოებრიობა შეიდავთებს მიანიჭებენ რევოლუციურ ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ხელმოცლე ოჯახებს. სახალხო მთავრობა საარსებო სახსრებით უზრუნველყოფს რევოლუციური ომის ინვალიდებსა და დემობილიზებულს.

კარი IV
ეკონომიური პოლიტიკა

მუხლი 26. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური მშენებლობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს წარმოების განვითარება და აყვავებული ეკონომიკის შექმნა როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ინტერესების, როგორც შრომის, ისე კაპიტალის სარგებლობის, ქალაქსა და სოფლს შორის ურთიერთდახმარების გათვალისწინებისა და როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარე სამყაროსთან საქონელბრუნვის განვითარების საფუძველზე.

იმისათვის, რომ ეკონომიკის ყველა სექტორმა შეძლოს თავისი როლის შესრულება და რომ განხორციელდეს შრომის განაწილება და თანამშრომლობა სახელმწიფო ეკონომიკის სექტორის ხელმძღვანელობით ქვეყნის მთელი ეკონომიკის განვითარების დაჩქარების მიზნით, სახელმწიფო შეათანხმებს და მოაწესრიგებს სახელმწიფო, კოოპერაციული, კერძო გლეხური და ხელოსნური კერძოკაპიტალისტური სექტორებისა და სახელმწიფო კაპიტალიზმის სექტორის საწარმოო საქმიანობას, ნედლეულით მომარაგებას, პროდუქციის გასაღებას, მუშახელითა და ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფას, დაფინანსებას და სხვ.

მუხლი 27. საწარმოო ძალების განვითარების და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ძირითად პირობას წარმოადგენს მიწის რეფორმა. ყველა რაიონში, სადაც მიწის რეფორმა გატარდა, დაცული იქნება გლეხთა უფლებები მათ მიერ მიღებული მიწის სამფლობელოდ.

იმ რაიონებში, სადაც მიწის რეფორმა ჯერ კიდევ არ გატარებულა, საჭიროა ფეზზე დაგაყენოთ გლეხთა მასები და დავრაზმოთ ისინი იმისათვის საბრძოლველად, რომ განხორციელდეს პრინციპი „მიწა მიწის მუშას“ ისეთ ღონისძიებათა გზით, როგორიცაა ადგილობრივი ბანდიტიზმისა და თვითნებობის ლიკვიდაცია, იჯარის ქირისა და სესხთა პროცენტების შემცირება და მიწის განაწილება.

მუხლი 28. სახელმწიფო ეკონომიკის სექტორი სოციალისტურ ხასიათს ატარებს. ყველა საწარმო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, ერთიან სახელმწიფო მმართველობაში იქნება. სახელმწიფოს კუთვნილი მთელი რესურსები და საწარმოები წარმოადგენენ ხალხის საზოგადოებრივ საკუთრებას. ისინი წარმოადგენენ სახალხო რესპუბლიკის მთავარ მატერიალურ ბაზას წარმოების განვითარებისა და აყვავებული ეკონომიკის შექმნის საქმეში და მთელი საზოგადოებრივი ეკონომიკის წამყვან ძალას.

მუხლი 29. კოოპერაციული სექტორი ნახევრადსოციალისტურ ხასიათს ატარებს და მთელი სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სახალხო მთავრობა წაახალისებს მის განვითარებას და მიანიჭებს მას სხვადასხვა უპირატესობასა და შეღავათს.

მუხლი 30. სახალხო მთავრობა წაახალისებს ყველა იმ კერძო საწარმოს საქმიანობას, რომლებსაც სარგებლობა მოაქვთ ეროვნული კეთილდღეობის საქმისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, და ხელს შეუწყობს მათს განვითარებას.

მუხლი 31. სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალს შორის თანამშრომლობის სექტორი სახელმწიფო კაპიტალიზმის ხასიათს ატარებს. საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში წახალისებული იქნება კერძო კაპიტალის განვითარება სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართულებით, მაგალითად, სახელმწიფო საწარმოთან თანამშრომლობა, საწარმოების სახელმწიფოსთან ერთად მართვა და სახელმწიფო საწარმოების და სახელმწიფოს კუთვნილი რესურსების იჯარით გადაცემა კერძო მეწარმეთათვის.

მუხლი 32. ამჟამად სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებში შემოღებულ იქნება სისტემა, რომლის დროსაც მუშები მონაწილეობას მიიღებენ წარმოების მართვაში, ე. ი. სამრეწველო საწარმოებში შეიქმნება ადმინისტრაციული კომიტეტები საწარმოს დირექტორის ხელმძღვანელობით. კერძო საწარმოებში, იმ მიზნით, რომ განხორციელდეს პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს როგორც შრომის, ისე კაპიტალის სარგებლობას, უნდა დაიდოს კოლექტიური ხელშეკრულებები მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელ პროფკავშირსა და მეწარმეს შორის. ამჟამად სახელმწიფო და კერძო საწარმოებში პრინციპულად წესდება 8-10 საათის სამუშაო დღე, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით შესაძლებელია ამაში შეტანილ იქნას ცვლილებანი. სახალხო მთავრობა დაადგენს ხელფასის მინიმუმს ადგილობრივი პირობების შესაბამისად და პროფესიების გათვალისწინებით. თანდათანობით შემოღებულ იქნება სოციალური დაზღვევა და დაცული იქნება მოზარდთა და ქალთა შრომის განსაკუთრებული ინტერესები. სამრეწველო საწარმოებსა და შახტებში შრომის დაცვისა და სანიტარული პირობების გასუმჯობესებლად შემოღებულ იქნება შრომის დაცვის ინსპექცია.

მუხლი 33. ცენტრალური სახალხო მთავრობა უმოკლეს შესაძლებელ ვადაში შეიმუშავებს მთელი ჩინეთის სახელმწიფო და კერძო ეკონომიკის ძირითადი დარგების აღდგენისა და განვითარების გენერალურ გეგმას, განსაზღვრავს ცენტრალური მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ეკონომიურ ორგანოებს შორის, ცენტრალური სახალხო მთავრობის ერთიანი ხელმძღვანელობით ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივ ხელისუფალთა სხვადასხვა ეკონომიურმა ორგანოებმა უნდა გაშალონ მთელი თავიანთი შემოქმედებითი უნარი და ინიციატივა.

მუხლი 34. სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა და მესაქონლეობა; ყველა რაიონში, სადაც მთლიანად არის განხორციელებული მიწის რეფორმა, სახალხო მთავრობა ხელს შეუწყობს მთავარი ამოცანის განხორციელებას — გლეხებისა და მთელი იმ მუშახელის ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დროებით სამუშაოთა განვითარებისათვის, განახორციელებს ხელმძღვანელობას გლეხებისადმი ურთიერთ შრომითი დახმარების სხვადასხვა ფორმების და საწარმოო კოოპერაციის თანდათან შექმნის საქმეში ნებაყოფლობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპის შესაბამისად. მიწის რეფორმა უნდა დაუკავშირდეს საოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენასა და განვითარებას. სახალხო მთავრობამ სახელმწიფო გეგმისა და ხალხის კეთილდღეობის საჭიროების შესაბამისად უნდა აღადგინოს მარცვლეულის, სამრეწველო ნედლეულისა და საექსპორტო საქონლის წარმოება ომამდელ დონემდე და გადააჭარბოს ამ დონეს უმოკლეს შესაძლებელ ვადაში. საჭიროა ყურადღება მიექცეს საბინაო მშენებლობას და საირიგაციო ნაგებობათა აღდგენას, წყალდიდობისა და გვალვის წინააღმდეგ პრევენტიულ ღონისძიებათა განხორციელებას, მეცხოველეობის აღდგენასა და განვითარებას, სასუქის წარმოების გადიდებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებას, თესლის გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა და მცენარის დაავადებათა წინააღმდეგ პრევენტიულ ღონისძიებათა განხორციელებას, სტიქიურ უბედურებათა გამო დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა განხორციელებას და ნიადაგის სისტემატურ გაუმჯობესებას. დაცულ იქნება ტყეები და განვითარდება მეტყევეობა გეგმის შესაბამისად.

უნდა განხორციელდეს ყველა თვეზსაჭირო უბანის დაცვა სანაპიროსთან და განვითარდეს საზღვაო სარეწი. საჭიროა განვითარდეს მეცხოველეობა და განხორციელდეს პრევენტიული ღონისძიებანი ეპიდემიების წინააღმდეგ.

მუხლი 35. მრეწველობა: იმისათვის, რომ საძირკველი ჩაეყაროს ჩინეთის ინდუსტრიალიზაციას, ყურადღება მიექცევა ძძიმე მრეწველობის — შიმაღნეულის, მეტალურგიული, ენერგეტიკული, მანქანათმშენებლობის, ელექტრომრეწველობისა და ძირითადი ქიმიის მრეწველობის — გეგმიან, სისტემატურ აღდგენასა და განვითარებას. ამავე დროს აწარმოებს საფეიქრო მრეწველობის და მსუბუქი მრეწველობის სხვა იმ დარგების აღდგენა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ერის კეთილდღეობისათვის და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

მუხლი 36. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა: რკინიგზები და გზატკეცილები სწრაფად უნდა იქნას აღდგენილი და მათი ქსელი თანდათან გაფართოვდეს; უნდა განხორციელდეს მდინარეთა გალრმავება და განვითარდეს წყალმოსილი ტრანსპორტი. აუცილებელია გავუმჯობესოთ და განვავითაროთ საფოსტო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობა; თანდათან, გეგმის შესაბამისად, უნდა შეიქმნას სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებანი, მათ შორის ავიაცია.

მუხლი 37. ვაჭრობა: დაცულ იქნება მთელი კანონიერი სახელმწიფო და კერძო ვაჭრობა. შემოღებულ უნდა იქნას კონტროლი საგარეო ვაჭრობისადმი და პროტექციონიზმის სისტემა. თავისუფალი საშინაო ვაჭრობა განხორციელდება ერთიანი ეკონომიური სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, მაგრამ სავაჭრო სპეკულაცია, რაც ირღვევს ბაზრის წონასწორობას, სასტიკად აკრძალულია. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები მოაწესრიგებენ მოთხოვნილებასა და წინადადებას, დაიწესებენ საკონლის ფასებს და ხელს შეუწყობენ სახალხო კოოპერატივებს. სახალხო მთავრობა განახორციელებს საქონლო ღონისძიებებს ხალხის დანაზოგთა, საზღვარგარეთიდან ფულის გზავნილებთა წასახალისებლად და იმისათვის, რომ დაკონსერვებული და არაწარმოებითი კაპიტალი, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს ერის კეთილდღეობისა და ხალხისათვის, გამოყენებულ იქნას მრეწველობასა და სამრეწველო საწარმოებში.

მუხლი 38. კოოპერატივები: საჭიროა ხელი შეეწყოთ და დახმარება გაუწიოთ მშრომელთა ფეიქრო მრეწველობის, ბუნებრივ-ისტორიული შეხედულება ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობის შესწავლისა და გაგების დარგში. წახალისებულ იქნება და დაჯილდოდება შესანიშნავი ნაშრომები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

მუხლი 39. ფინანსები: საფინანსო დაწესებულებებს მკაცრ კონტროლს გაუწევს სახელმწიფო. ფულის ნიშნების გამოშვების უფლება სახელმწიფოს ეკუთვნის. უცხოეთის ვალუტის მიმოქცევა ჩინეთში აკრძალულია. უცხოეთის ვალუტის, ოქროსა და ვერცხლის ყიდვა-გაყიდვას განახორციელებენ მხოლოდ სახელმწიფო ბანკები. კერძო საფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც კანონის ფარგლებში მოქმედებენ, სახელმწიფომ უნდა გაუწიოს კონტროლი და ხელმძღვანელობა. ის პირნი, რომელნიც საფინანსო სპეკულაციას ეწევიან და ძარს უთხრიან სახელმწიფოს ფინანსებს, სასტიკად დაისჯებიან.

მუხლი 40. სახელმწიფო ფინანსები: შეიქმნება ბიუჯეტისა და საფინანსო ანგარიშგების სისტემები. განისაზღვრება ცენტრალური მთავრობის და ადგილობრივ ხელისუფალთა საფინანსო კომპეტენციის სფეროები და განხორციელდება მომეპირნეობის რეჟიმი და ხარჯების შემცირება. თანდათან მიღწეულ იქნება ბიუჯეტის დაბალანსება და დაგროვდება კაპიტალი ჩინეთში წარმოების განვითარებისათვის.

სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა დაეყრდნობა რევოლუციური ომის საჭიროების უზრუნველყოფის პრინციპს და აიგება წარმოების აღდგენისა და განვითარების და ნაციონალური მშენებლობის საჭიროების გათვალისწინებით. საგადასახადო სისტემა გამარტივდება და შემოღებულ იქნება საგადასახადო ტარიფის სამართლიანი განაწილება.

კარი V
პოლიტიკა კულტურისა და განათლების დარგში

მუხლი 41. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურასა და განათლებას უნდა ექნეს ახალი, დემოკრატიული ხასიათი, ესე იგი ისინი უნდა იყვნენ ფორმით ნაციონალური, შინაარსით მეცნიერული და თავისი ხასიათით ხალხური. სახალხო მთავრობის ძირითადი ამოცანები კულტურისა და განათლების დარგში იქნება ხალხის კულტურული დონის ამაღლება, კადრების მომზადება ნაციონალური მშენებლობისათვის, ფეოდალური, კომპრადორული, ფაშისტური იდეოლოგიის ლიკვიდაცია და იმ იდეოლოგიის განვითარება, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება.

მუხლი 42. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქე აღიზრდება სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის, შრომისა და მეცნიერების სიყვარულის და სახელგდებერგი საკუთრებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით.

მუხლი 43. განხორციელდება ღონისძიებანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისათვის იმ ანგარიშით, რომ ეს მეცნიერება ჩაყენებულ იქნას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ნაციონალური თავდაცვის სასსახურში. ხელი შეეწყობა მეცნიერულ აღმოჩენებსა და გამოგონებებს და მოხდება მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაცია.

მუხლი 44. წახალისებულ იქნება მეცნიერულ-ისტორიული შეხედულება ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობის შესწავლისა და გაგების დარგში. წახალისებულ იქნება და დაჯილდოდება შესანიშნავი ნაშრომები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

მუხლი 45. ლიტერატურა და ხელოვნება ჩაყენებულ იქნება ხალხის სამსახურში, რათა ხელი შეეწყოს ხალხის პოლიტიკური შეგნებ

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის დეკლარაცია

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ შემდეგი დეკლარაცია მიიღო:

მთელი ჩვენი ქვეყნის თანამემამულენო! ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ წარმატებით შეასრულა თავისი ამოცანა.

ამ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ყველა პოლიტიკური პარტიისა და ჯგუფის, სახალხო ორგანიზაციების, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის, სხვადასხვა რაიონის, სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელებისა და მთელი ჩინეთის პატრიოტული დემოკრატიული ელემენტების დელეგატები. კონფერენცია წარმოადგენდა მთელი ჩინეთის ხალხის ნებას და გამოხატავს მის უმაგალითოდ დიად ერთიანობას.

ეს დიადი ერთიანობა მიღწეულ იქნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინელი ხალხისა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ხანგრძლივი გმირული ბრძოლის გზით მას შემდეგ, რაც განადგურებულ იქნა ძალები ჩან კაი-შის გომინდანური რეაქციული მთავრობისა, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ეხმარებიან.

საუკუნეზე მეტია, რაც ჩინელი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორც დიდი რევოლუციონერი სუნ იატ-სენი, რომელიც ხელმძღვანელობდა 1911 წლის რევოლუციას, სათავეში ედგნენ ხალხის ფართო მასებს განუწყვეტელ და განუხრელ ბრძოლაში იმპერიალიზმის უღლისა და ჩინეთის რეაქციული მთავრობის დამხობისათვის, და ამკამად მიაღწიეს თავიანთ მიზნებს.

ახლა, როცა ეს კონფერენცია მიმდინარეობს, ჩინელმა ხალხმა უკვე განაადგურა თავისი მტერი, სახე შეუცვალა ჩინეთს და დააარსა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩვენ, 475-მილიონიანი ჩინელი ხალხი, ახლა ფრთაშესხმული ვართ და ჩვენი ერის მომავალი უსაზღვროდ ნათელია.

ხალხის ხელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით ჩვენმა კონფერენციამ ერთიანი ნებისყოფით და ახალი დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად შეიმუშავა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სტატუტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სტატუტი და ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი იქნება პეკინი, რესპუბლიკის ეროვნულ დროშად დამტკიცა ხუთვარსკვლავიანი წითელი დროშა, დროებითს ეროვნულ ჰიმნად დამტკიცა „მოხალისეთა მარში“, მიიღო გადაწყვეტილება მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში მიღებული კალენდრის შემოღების შესახებ და აირჩია ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ეროვნული კომიტეტი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭო.

ამიერიდან ახალი ხანა დაიწყო ჩინეთის ისტორიაში.

მთელი ჩვენი ქვეყნის თანამემამულენო! ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადებულია, და ახლა ჩინელ ხალხს ჰყავს თავისი ცენტრალური მთავრობა. ეს მთავრობა განახორციელებს სახალხო დემოკრატიის დიქტატურას ჩინეთის საზღვრების ფარგლებში სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამის შესაბამისად. ეს მთავრობა უხელმძღვანელებს სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას რევოლუციური ომის დაბოლოებაში, მტრის ჯარების ნაშთების მოსპობაში, ჩინეთის მთელი ტერიტორიის განთავისუფლებაში და დაამთავრებს ჩინეთის გაერთიანების დიად საქმეს.

ეს მთავრობა უხელმძღვანელებს მთელი ჩინეთის ხალხს ყველა სიძნელის დაძლევის საქმეში, ფართო მასშტაბით განახორციელებს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობას, ბოლოს მოუღებს სიღატაკესა და უმეცრებას, რაც მემკვიდრეობად დაგვიტოვა ძველმა ჩინეთმა, თანდათანობით აამაღლებს ხალხის მატერიალურ და კულტურულ დონეს.

ეს მთავრობა დაიცავს ხალხის ინტერესებს და ჩაახშობს კონტრრევოლუციური ელემენტების ყოველგვარ შეთქმულებთან საქმიანობას.

ეს მთავრობა გააძლიერებს სახალხო არმიას და შექმნის სამხედრო-საზღვაო ფლოტს და საჰაერო ძალებს. განამტკიცებს ეროვნულ თავდაცვას, დაიცავს ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიალისტური ქვეყნების ყოველ აგრესიას.

ეს მთავრობა შეუერთდება ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ქვეყანას, ერსა და ხალხებს და პირველ რიგში საბჭოთა კავშირს და ახალი დემოკრატიის ქვეყნებს როგორც მოკავშირეებს ამ იმპერიალისტურ შეთქმულებათა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, რომლებიც მიმართულია ომის გამოწვევისაკენ, და იბრძოლებს მტკიცე საყოველთაო მშვიდობისათვის.

მთელი ჩვენი ქვეყნის თანამემამულენო! ჩვენ უფრო მეტად უნდა დავიზუმოთ. ჩვენ ჩინელი ხალხის დიდი უმრავლესობა უნდა დავიზუმოთ პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა ორგანიზაციებად, დავძლიოთ ძველი ჩინეთის დეზორგანიზაცია და მხარი დავუჭიროთ სახალხო მთავრობასა და სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას ხალხის მასების დიადი ერთიანი ძალით, რათა ავაშენოთ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობიანი, ერთიანი, ბედნიერებული და ძლიერი, ახალი ჩინეთი.

სამარადისო დიდება სახალხო-განმათავისუფლებელ ომსა და სახალხო რევოლუციაში დაღუპულ სახალხო გმირებს!

გაუმარჯოს ჩინელი ხალხის დიად ერთიანობას!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ცენტრალურ სახალხო მთავრობას!

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის სხდომაზე

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ ერთხმად მიიღო „ჩინეთის სახალხო საკონსულტაციო საბჭოს საერთო პროგრამა“.

დელეგატები ტაშის გრიალით მიესალმნენ ჩინელი ხალხის ამ ქარტიის მიღებას მომდინარე პერიოდისათვის, ქარტიისა, რომელსაც მთლიანად დაიცავენ კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა ორგანიზაცია, სახალხო მთავრობის ყველა საფეხურის ორგანოები და მთელი ჩინეთის ხალხი.

საერთო პროგრამა განსაზღვრავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხასიათს და სავსებით ნათლად აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ სტრუქტურას, სამხედრო სისტემას, პოლიტიკას ეკონომიკის, კულტურისა და განათლების დარგში, რესპუბლიკის ერონულ პოლიტიკასა და საგარეო პოლიტიკას.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ეროვნული კომიტეტის და ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს არჩევნების დებულება.

გადაწყვეტილება ითვალისწინებს, რომ ეროვნული კომიტეტის წევრთა რიცხვის საკითხს კონსულტაციის გზით გადაწყვეტს ახლანდელი სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის პრეზიდიუმი. კანდიდატთა სიას, მას შემდეგ, რაც იგი შეთანხმებულ იქნება კონფერენციაზე წარმოდგენილი ორგანიზაციების მიერ, კენჭს უყრიან.

გადაწყდა, რომ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, შედგება თავმჯდომარის, 6 თავმჯდომარის მოადგილისა და 56 წევრისაგან. კანდიდატთა სია შედგენილ იქნება კონფერენციაზე წარმოდგენილ ყველა ორგანიზაციათა კონსულტაციის გზით და მიღებულ იქნება ფარული კენჭისყრით.

სინხუას სააგენტოს განცხადება

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს განცხადებას, რომელსაც სათაურად აქვს „ჩინელი ხალხის საზეიმო განცხადება მთელი მსოფლიოსადმი“.

„ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ, — ნათქვამია განცხადებაში,—ერთხმად გადაწყვიტა, რომ ახლო მომავალში ჩამოყალიბდება ცენტრალური სახალხო მთავრობა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მიმართავს განცხადებით, რომ შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომ ქენტრალური სახალხო მთავრობა, არჩეული ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის მიერ, ერთადერთი მთავრობაა, რომელსაც შეუძლია იყოს ჩინელი ხალხის წარმომადგენელი, და რომ კანტონში რეაქციული ძალების ნაშთების ფიქციური მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში გაგზავნილ დელეგატებს უფლება არა აქვთ იყონ ჩინელი ხალხის წარმომადგენლები.

ეს იქნება მთელი მსოფლიოსადმი საზეიმო განცხადება ჩინელი ხალხისა, რომელიც თავისი ქვეყნის პატრონია, რაც სავსებით შეესაბამება ნამდვილ პოლიტიკურ მდგომარეობას ჩინეთში, რომელიც ძირიანად შეიცვალა და გამოხატავს მთელი ჩინელი ხალხის საერთო ნებასა და სურვილებს.

გომინდანელი რეაქციონერები — ამერიკის იმპერიალიზმის ერთგული ქოფაკები ყველგან დამხობილ იქნენ, ვინაიდან მათი პოლიტიკა იყო ერის ღალატის, სამოქალაქო ომისა და დიქტატურის პოლიტიკა. პირიქით, სახალხო განმათავისუფლებელი ომი და დიდი სახალხო რევოლუცია, რომელმაც ჩინეთის კომუნისტური პარტია მეთაურობს. ყველგან აღწევს გადამწყვეტ გამარჯვებას, იმიტომ რომ მათ მხარს უჭერს მოელი ხალხი. ნანკინის გომინდანურმა მთავრობამ არსებობა შეწყვიტა ჯერ კიდევ ამა წლის აპრილში, როცა სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ მდინარე იანძი გადალახა. სამხრეთ ჩინეთში გაქცეული გომინდანური ჯარების ნაშთები მალე სავსებით მოსპობილ იქნებიან წარმატებით შემტევი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ. რეაქციული ბლოკის ნაშთები კანტონში, ფორმოზაზე და სხვა ადგილებში აღარ არიან მთავრობები, არამედ წარმოადგენენ მხოლოდ ბანდიტთა ხროვას, რომლებსაც აბსოლუტურად არავითარი უფლება არა აქვთ იყონ ჩინელი ხალხის წარმომადგენლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში კანტონის ბანდის დელეგატად ძიან ტინ-ფუს ყოფნა არა მარტო არცხვენს ჩინელ ხალხს, არამედ ბღალავს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არის ერების ორგანიზაცია, რომელიც განკუთვნილია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად.

ბანდიტმა ჩან კაი-შიმ, რომელსაც უფლება არა აქვს იყოს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, გაბედა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ტრიბუნა გამოეყენებინა ცილისწამებისათვის, ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა საზოგადოებრივი აზრი და ცილი დაეწამებინა ჩინელი ხალხისა და საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც ჩინეთის მეგობარია. მან ისიც კი გაბედა, რომ მოითხოვა, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას „განეხილა“ ჩინეთში შექმნილი ვითარება, და ცდილობდა იმპერიალისტური ქვეყნები, რომელთაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, მიეწვია ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩასარევად. ჩინელი ხალხი ამას ვერ მოითმენს. ამიტომ ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის გადაწყვეტილებას და მოვითხოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ძიან ტინ-ფუს და გომინდანური ბანდის სხვა წარმომადგენელთა დანაშაულებრივი საქმიანობა და დაუყოვნებლივ ჩამოართვას მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში წარმომადგენლობის უფლებანი“.

საბჭოთა კავშირსა და კანჭონში იან სი-შანის მთავრობას შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

2 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობის დავალებით შემდეგი განცხადება გაუკეთა კანტონის მთავრობის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში:

ჩინეთში მომხდარი ამბების შედეგად, რომლებმაც ჩინეთის სამხედრო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოიწვიეს ღრმა ცვლილებები, რომელთა შედეგადაც შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობა, — კანტონში მყოფი ბ-ნ იან სი-შანის მთავრობა აღარ ახორციელებს ხელისუფლებას ჩინეთში, გადაიქცა კანტონის პროვინციულ მთავრობად და დაკარგა შესაძლებლობა ჩინეთის სახელით განახორციელოს დიპლომატიური ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან. ამ გარემოებამ ის გამოიწვია, რომ ჩინეთის დიპლომატიური კავშირი უცხო სახელმწიფოებთან შეწყვეტილი აღმოჩნდა. საბჭოთა მთავრობას, ითვალისწინებს რა ყველა ამ გარემოებას, კანტონთან დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილად მიაჩნია და გადაწყვიტა—თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები გამოიწვიოს კანტონიდან.

(საკდესი).

ბულგარეთის მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

სოფია, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1 ოქტომბერს იუგოსლავიის საქმეთა დროებითის რწმუნებულს სოფიაში იზკოვიჩს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა: „ბრავალი თვის მანძილზე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და მისი ორგანოები ამკარა მტრულ პოლიტიკას ახორციელებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბულგარელი ხალხის მიმართ. მთელ რიგ თავიანთ განცხადებებში იუგოსლავიის მთავრობის ყველაზე პასუხისმგებელი მოღვაწეები ცდილ სწამებენ ბულგარეთსა და ბულგარულ ხალხს, მტერკრთი მიმართავენ ჩვენს ქვეყანას და გამოთქვამენ კადნიერ პრეტენზიებს ბულგარეთის ტერიტორიების ხელში ჩაგდების მიზნით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1947 წლის 27 ნოემბრის ხელშეკრულებას, რომლის მიზანი იყო ორივე ქვეყნის მომავალ ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა იყენებს მტრული და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის ჩვენს ქვეყანაში. იუგოსლავიიდან ბულგარეთში სისტემატურად გზავნიან ბანდიტთა ჯგუფებს, მზვერავებსა და ჯაშუშებს. როგორც უკვე ცხადყო ბულგარეთში მყოფ ზოგიერთ იუგოსლავიელ ჯაშუშთა პროცესებმა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოეწყო, ამ მტრულ საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ იუგოსლავიის სოფიის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

იუგოსლავიის ხელისუფალნი სისტემატურად აწყობენ პროვოკაციულ ინციდენტებს ჩვენს საზღვარზე. იუგოსლავიაში მყოფ ათეულობით ბულგარელ მოქალაქეებს სასტიკად სდევნიან და ტერორის რეჟიმს უქმნიან მათი სამშობლოთვის ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული მთავრობისა და სსრ კავშირისადმი.

ამასთანავე იუგოსლავიის მთავრობა თავშესაფარს აძლევს იუგოსლავიაში სამხედრო დამნაშავეებს, რომლებიც გაექცნენ სასამართლო პასუხისმგებლობას ჩვენს ქვეყანაში, ფაშისტ ნაბოლარებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს და ყოველგვარ სხვა დამნაშავე და რეაქციულ ნაძირალებს, რომლებიდანაც იგი ქმნის დივერსანტებისა და ჯაშუშების ხანდებს.

რაიის პროცესზე უკანასკნელად გამომეცხადებული ამბები მოწმობენ, რომ იუგოსლავიის მთავრობის ეს მტრული საქმიანობა ჩვენი ქვეყნის მიმართ სრულიადაც არ არის შემთხვევითი, არამედ სავსებით შეგნებულად და წინასწარი განზრახვით ხორციელდება. გარდა ამისა, ბულგარეთის მთავრობას აქვს იმის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები, რომ იუგოსლავიის ახლანდელი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიწყებოდა მოლაპარაკება ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების შესახებ, მოქმედებდნენ ფარული ზრახვებით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ცხადი ხდება, რომ იუგოსლავიის მთავრობა, რომელიც უკვე დიდი ხანია იმყოფება იმპერიალისტთა სამსახურში, ახორციელებდა და კვლავაც შეგნებულად ახორციელებს მტრულ პოლიტიკას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი.

ამ ფაქტების მიხედვით სავსებით ცხადი ხდება, რომ იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობის განცხადებანი სამხრეთ სლავთა ფედერაციის შესახებ სხვა არა იყო რა, თუ არ საფარი, რომელსაც უნდა გაეადვილებინა არა მარტო ბულგარეთის პირნინის მხარის ხელში ჩაგდება, არამედ ჩვენი ქვეყნის დამორჩილება და დამონებაც ტიტოს ბრიგისათვის, რომელიც, ამრიგად, ამყარებდა რა თავის ჰეგემონის ბალკანეთში, მიზნად ისახავდა გადაექცია იგი იმპერიალისტების კოლონიად და საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური აგრესიული გეგმების განხორციელების ბაზად.

იღებს რა მხედველობაში, რომ ბულგარეთის მიმართ თავისი ამ მტრული პოლიტიკით იუგოსლავიის მთავრობამ უაღრესად უხეშად დაარღვია 1947 წლის 27 ნოემბრის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, ბულგარეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას ამიერიდან თავისუფლად მიაჩნია თავი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან“.

რუმინეთის მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

ბუქარესტი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა პაუკერმა იუგოსლავიის ელჩს ბუქარესტში გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

„იუგოსლავიის მთავრობა დიდი ხანია ახორციელებს მტრულ საქმიანობას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის, უშიშროებისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ამ მიზნით იუგოსლავიის მთავრობამ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოგზავნა თავისი აგენტები და ჯაშუშები, აგრეთვე იმპერიალისტური მთავრობების აგენტები და ჯაშუშები, როგორც, მაგალითად, ზოჩი, ბოჩაკი, ბალკიჩი, ლომპარი, ბოკკო ლატიჩი, ნიკოლა მედიჩი და სხვები.

იუგოსლავიის მთავრობა ეწევა სიცრუისა და ცილისწამების საზიზღარ კამპანიას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ და ფაშისტური შოვინისტური პროპაგანდისა და ომის გაჩაღების კამპანიას, რისთვისაც იყენებს ლეგიონერთა და კულაკურ ელემენტებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში. რუმინული წარმოშობის იუგოსლავიელ მოქალაქეებს, რომლებიც მხარს უჭერენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობას, იუგოსლავიის მთავრობა ტერორქმედ აყენებს. იუგოსლავიის მთავრობა განუწყვეტელ პროვოკაციებს აწყობდა იუგოსლავია-რუმინეთის საზღვარზე, არღვევდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებს და აწყობდა თავდასხმას რუმინელ მესაზღვრეებზე.

დამნაშავე და ჯაშუშ რაიისა და მის თანამონაწილეთა პროცესმა მთლიანად გამოააშკარავა ის ფაქტი, რომ იუგოსლავიის მთავრობა ამ მოქმედებას მიმართავს იმ მიზნით, რომ მოახდინოს კაპიტალისტური რეჟიმის რესტავრაცია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, და მოქმედებს როგორც უცხოთის იმპერიალისტური წრეებისა და ომის გამჩაღებლების იარაღი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ იუგოსლავიის მთავრობამ თავისი ამ მოქმედებით ფეტქვეშ გათელა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც მან, როგორც იუგოსლავიის მთავრობის მოქმედებით ჩანს, ფარისევლურად დადო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ამის გამო რუმინეთის მთავრობა აცხადებს, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის თავისუფლად მიაჩნია თავი იუგოსლავიასთან 1947 წლის 19 დეკემბერს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან“.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მეორე დამატებითი ტირაჟისა, რომელიც შედგა ქ. თბილისში 1949 წლის 30 სექტემბერს

ცხრილში ნაჩვენებია მოგებულ სერიათა 230 ნომერი. თვითეული სერია შედგება ობლიგაციების 50 ნომრისაგან, რომლებსაც ხვდათ მოგება. მაშასადამე, ცხრილი შეიცავს 11.500 მოგებას (230×50) სესხის ერთ თანრიგზე.

თუ ცხრილის სვეტში „ობლიგაციათა № №“ დაბეჭდილია ობლიგაციის ერთი ნომერი ვარსკვლავით (*), ეს იმას ნიშნავს, რომ „მოგების ოდენობის“ სვეტში აღნიშნული მოგება ხვდა ობლიგაციის ამ ნომერს, ხოლო ამავე სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 400 მანეთი თვითეულმა.

იმ შემთხვევაში, როცა სვეტში „ობლიგაციათა № №“ დაბეჭდილია ნომრები „1—50“, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული სერიის ობლიგაციათა ორმოცდაათსავე ნომერს (№ 01-დან № 50-მდე) ხვდა „მოგების ოდენობის“ სვეტში აღნიშნული ერთნაირი მოგება.

სულ ტირაჟში სესხის ერთ თანრიგზე გათამაშებულია 11.390.600 მანეთის 11.500 მოგება, მათ შორის: 1 მოგება 100.000-მანეთიანი, 5 მოგება 50.000-მანეთიანი, 25 მოგება 25.000-მანეთიანი, 80 მოგება 10.000-მანეთიანი, 800 მოგება 5.000-მანეთიანი, 2.300 მოგება 1.000-მანეთიანი და 8.289 მოგება 400-მანეთიანი.

მეორე დამატებითი ტირაჟის მოგება გაიცემა იმ ობლიგაციებზე, რომლებსაც აქვთ № 2 ტალონი. იმ ობლიგაციებზე, რომლებსაც № 2 ტალონი არა აქვთ, მეორე დამატებითი ტირაჟის მოგება არ გაიცემა. ასეთი ობლიგაციები შემნახველ სალაროში წარდგენისას დაიფარება ნომინალური ღირებულების ანაზღაურებით.

ცხრილში ნაჩვენებია 200-მანეთიანი ობლიგაციების მოგება.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

შემნახველი სალაროები ამ ცხრილის მიხედვით მოგებათა გაცემას დაიწყებენ გაზეთის მორიგი ნომრის მიღების შემდეგ.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მე-2 დამატებით ტირაჟში მოგება ხვდა სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით
001021	1—50	5.000	029950	29*)	10.000	054223	35*)	10.000	076477	15*)	25.000
001514	1—50	400	030230	1—50	400	054400	20*)	10.000	076897	1—50	5.000
001722	40*)	10.000	030394	06*)	10.000	055972	1—50	400	076904	1—50	1.000
001838	24*)	25.000	030420	1—50	5.000	056091	10*)	50.000	077331	1—50	400
002005	1—50	400	030684	06*)	10.000	056312	1—50	5.000	077389	18*)	10.000
003119	06*)	10.000	031318	18*)	50.000	056422	1—50	1.000	077939	1—50	400
003976	36*)	25.000	031654	44*)	10.000	056746	1—50	1.000	078078	43*)	10.000
004852	1—50	400	031929	01*)	10.000	057136	43*)	10.000	078320	1—50	400
004923	39*)	25.000	033064	05*)	10.000	057845	34*)	10.000	078648	03*)	10.000
004987	1—50	1.000	033321	46*)	10.000	058279	1—50	400	079130	1—50	1.000
005598	1—50	400	033923	1—50	400	059039	1—50	1.000	079288	04*)	25.000
006683	01*)	10.000	035121	16*)	10.000	059358	29*)	10.000	080407	1—50	5.000
006843	1—50	5.000	035500	1—50	400	059786	14*)	10.000	080425	17*)	10.000
006959	1—50	400	036027	1—50	400	060306	10*)	50.000	080550	18*)	10.000
007197	1—50	400	036298	12*)	10.000	060722	17*)	25.000	080576	1—50	1.000
007420	1—50	1.000	037188	1—50	1.000	060862	1—50	5.000	080657	09*)	10.000
008024	1—50	400	038088	1—50	1.000	061371	18*)	50.000	081134	1—50	1.000
008292	1—50	400	038354	1—50	400	061421	02*)	25.000	081269	1—50	400
008599	13*)	25.000	038437	04*)	25.000	061568	1—50	1.000	081337	1—50	1.000
009441	48*)	25.000	038813	31*)	10.000	061985	1—50	400	081473	49*)	10.000
010028	1—50	400	040016	01*)	10.000	062652	01*)	25.000	081498	20*)	10.000
010771	33*)	25.000	042047	1—50	400	062674	42*)	10.000	082090	1—50	1.000
011244	1—50	400	043368	17*)	10.000	062752	22*)	10.000	082155	1—50	1.000
011268	1—50	1.000	044585	26*)	100.000	062763	1—50	400	083202	1—50	1.000
011506	1—50	400	044676	38*)	10.000	063049	1—50	400	083995	04*)	10.000
011595	1—50	400	044803	17*)	10.000	063307	37*)	10.000	084222	44*)	10.000
011620	04*)	10.000	044950	1—50	400	063927	34*)	10.000	084416	1—50	5.000
012073	1—50	400	044968	1—50	1.000	064005	1—50	400	084609	1—50	1.000
013722	1—50	400	046211	47*)	25.000	064831	1—50	400	084708	22*)	25.000
013777	05*)	10.000	046231	1—50	400	064992	1—50	1.000	085916	18*)	10.000
013941	1—50	1.000	046374	1—50	1.000	065413	01*)	25.000	085933	08*)	10.000
014092	1—50	5.000	046427	1—50	1.000	065453	1—50	1.000	086360	40*)	10.000
014093	27*)	25.000	048192	1—50	1.000	065526	45*)	25.000	086896	20*)	10.000
015143	12*)	10.000	048394	1—50	1.000	065785	17*)	10.000	086977	04*)	10.000
015660	1—50	1.000	048521	1—50	400	066291	33*)	10.000	087282	1—50	1.000
015742	15*)	10.000	048857	1—50	1.000	066416	21*)	10.000	087729	16*)	10.000
015880	1—50	1.000	049160	32*)	10.000	067248	34*)	10.000	088489	24*)	25.000
016058	03*)	10.000	049366	1—50	400	067576	04*)	10.000	089233	1—50	1.000
016641	33*)	25.000	050327	1—50	400	068151	1—50	400	090200	38*)	10.000
016646	1—50	1.000	050452	36*)	10.000	068219	1—50	5.000	091333	1—50	400
016939	21*)	25.000	050667	1—50	400	068472	1—50	5.000	092093	1—50	400
018892	10*)	10.000	050802	24*)	10.000	069955	42*)	10.000	092429	1—50	400
019020	46*)	25.000	051210	06*)	10.000	070399	24*)	10.000	093007	1—50	400
020350	49*)	10.000	051366	05*)	10.000	070482	1—50	1.000	093031	1—50	1.000
020679	44*)	10.000	051878	39*)	10.000	070528	1—50	1.000	093254	1—50	5.000
020863	46*)	10.000	052041	21*)	25.000	070595	27*)	10.000	093501	1—50	400
021094	1—50	400	052088	1—50	400	071223	1—50	400	094376	1—50	1.000
021339	1—50